ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N3

დაბა ქედა **24 ივნისი, 2026 წელი**

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
ანზორ გოგიაშვილი - კომისიის წევრი;
ნაზიმ ჩხეიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვმჯდომარე - ამირან ცინცაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - დიანა ნინიძე;

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ბადრი სურმანიძე;

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"- ს დირექტორის მოადგილე - ბადრი მახარაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.06.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ანზორ გოგიაშვილი	კომისიის წევრი	
3	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
6	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტი;**

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ბადრი სურმანიძე;

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტი;**

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ბადრი სურმანიძე;

3. **შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;**

მომხსენებელი: შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს დირექტორის მოადგილე - ბადრი მახარაძე;

4. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.**

მომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე.

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 მაისს №გ-95.95261495 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საკითხზე „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2026 წლის 23 ივნისი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი:95-95261493; წერილის თარიღი:29.05.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი:03-95261561-95; წერილის თარიღი:05.06.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის საკონსულტაციო შენიშვნები გააჩნია.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძე აღნიშნა, რომ შენიშვნები გათვალისწინებულია და წარმოადგინა შესწორებული დადგენილების პროექტი დანართი 1 - ის სახით.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად მიიჩნევს განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ" (დადგენილება) პროექტი დანართი 1- ის შესაბამისად.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 მაისს №g-95.95261496 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საკითხზე ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2026 წლის 23 ივნისი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი:95-95261493; წერილის თარიღი:29.05.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი:03-95261561-95; წერილის თარიღი:05.06.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის საკონსულტაციო შენიშვნები გააჩნია.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ აღნიშნა, რომ შენიშვნები გათვალისწინებულია და წარმოადგინა შესწორებული დადგენილების პროექტი დანართი 2 - ის სახით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ იკითხა მაღალმთიანი სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ხომ არ შეცვლილა პროცედურული საკითხები.

საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდინარე წლიდან მოწმეების (იმავე დასახლებაში მცხოვრები 2 პირი) წერილობითი დასტური ნოტარიულად მოწმდება.

კომისიის სხვა წევრებს წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად მიიჩნევს განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტი დანართი 2- ის შესაბამიასად.

3. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 18 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი N:06/95261692-95; განცხადების თარიღი:18.06.2026) შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"- ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც კომისიის წევრებს წარუდგინა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-ს დირექტორის მოადგილე - ბადრი მახარაძემ.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია“ განხილული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

4. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
დამტკიცებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან დევაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **დიანა ნინიძე**